სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიის.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
სითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ
**ჩვეულებრივი კრება დრ. საზოგადოებისა**
დანიშნულია 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში
საგნები კრებისა:
1) ახალი წევრების მიღება.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
3) მოხსენება თეატრის საქმეთა წარმოებაზე დამდეგ სეზონში.
(3—1)

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
საზაფხულო ბაღი
**არმაზი**
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
**ყველაფერი იაფად**
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—39) ე. ჩხარტიშვილი

ქალ-ვაჟთა სკოლა
**ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა**
**დ. ხონში**
პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან
**საქალებო პროგიმნაზიად**
მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.
თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—13)

**კბილის ექიმი**
ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—8)

**ვექილი**
**ი. ი. ზურაბოვი**
გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 5. (10—1)

**ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ**




ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა **„შრომა“.**
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა **„შრომის“** ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—30)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
**ბენკლევსკი**
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Ք.)

**ექიმი**
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | კ. |
| ალექსანდრე ყაზბეგისა | 3 | „ |
| საქართველოს მეფე და ქართველი ტომი | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ოცი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—9)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. გ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ა. გარაბი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ქობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაკტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტი დაბრუნდება ტფილისში კოჯორიდან 9 სექტემბერს.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებელში დასრულდა ეგზამენები 31 აგვისტოს. ეგზამენი მოიხადა და მიღებულ იქმნა: მე-III კლასში—3 მოწ., მე-II-ში—3, I-ში—4 მოწ; მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში—40 მოწ. და უმცროსში—22. სულ სასწავლებელში 222 მოწაფეა.

*** ქალაქის განათების საქმე. ტფილისის პოლიცმეისტერმა 2 სექტემბერს აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ პოლიციის ბოქაულთა მოხსენებით, მას შემდეგ, რაც ქალაქმა მიიღო ქალაქის განათების საქმე, მრავალი ქუჩის ფარანი ღამღამობით ან სულ აუნთებლად არის, ან-და მეტად უხეიროდ ანათებს, რის გამო პოლიციას გაძნელებული აქვს დარაჯობა.

*** სახლის პატრონთა გადასახადის რაოდენობა. ის სახელმწიფო გადასახადი, რომელიც გაწერილია ტფილისის სახლის პატრონებზე, უდრის 119,000 მანეთს, ხოლო საერო გადასახადი—68 ათას მან.

*** ფულის გაფლანგვის საქმე. 11 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად ი. პეტრიაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდება, რომ როცა ის ნოქრად იმყოფებოდა ტფილისის ეპარქიის სანთლის ქარხანაში, გაფლანგა სანთლის გაყიდვით ამოგებული ფული 402 მ. და 49 კ., და აგრეთვე ისიც ბრალდება, რომ ინახავდა გასაყიდათ და ჰყიდდა ფიჭის სანთელს და ცეროზინს, რომლებსაც ყალბ ბეჭედს აკრავდა.

*** ცხენის რკინის გზის საქმე. ქალაქის გამგეობა შეუდგა იმ პროექტების განხილვას, რომლებიც შეეხებიან ცხენის რკინის გზის წარმოებას და ახალი გზების გაყვანას.

*** ცამბარადან გამოქცეულის შეპყრობა. 26 აგვისტოს სოფ. კახში (ზაქათალის ოლქი) საერო დარაჯებმა თოფით დასჭრეს ციმბირიდან გამოქცეული, იმავე ოლქის სოფ. კაშკაჩაის მცხოვრები, იუნუს მაჰმედ ოღლი. ამის შემდეგ იუნუსი თვითონ გამოეცხადა და დანებდა კახის განყოფილების უფროსს.

*** ფერშლების კრება. რუსეთის ფერშლებს განუზრახავთ მოახდინონ მთელი რუსეთის ფერშალთა კრება, რომლის შემწეობით სურთ შეიმუშაონ ფერშლობის შესახები კითხვები და აგრეთვე რუსეთის ფერშლების ნივთიერი და საზოგადოებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ზომები. („სინ. ოტ.“)

*** ჯიბის საათები რკინის გზაზე. სახაზინო რკინის გზების მმართველობამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს, ზომები მიიღეთ, რომ იმ პირთ, რომელნიც გზაზე მსახურებენ, როგორც მაგალ., სადგურების უფროსებმა, მათ თანაშემწეებმა, კონდუქტორებმა, უფროსმა მეისრეებმა და სხ. იქონიონ ჯიბის საათებიო. ამასთან იმ პირთ, რომელნიც ჯამაგირად მხოლოდ 600 მან. და უფრო ცოტას იღებენ, უნდა მიეცეთ სახელმწიფო საათები. ხოლო ის პირნი, რომელნიც იღებენ 600 მან. მეტს, ვალდებულნი არიან შეიძინონ საათები თავიანთი ხარჯით, ამასთან უფლება აქვთ მის შესაძენად გზის მმართველობა დაიხმარონ და ფული ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ.

*** სკოლების საქმე სვანეთში. კავკასიის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ, სამრევლო სკოლების ინსპექტორის ე. მამინაიშვილის შუამდგომლობის თანახმად, დაადგინა დაარსებულ იქმნეს ოთხი პირველ-დასაწყისი სკოლა სვანეთში, სახელდობრ შემდეგ სოფლებში: პარსა, ცხმორსა, ბეჩოსა და ლახამულში.

*** სკოლების საქმე აფხაზეთში. იმავე საბჭომ, საშუალების უქონლობის გამო, ვერ შეიწყნარა სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველის ვ. იასტრებოვის შუამდგომლობა აფხაზეთში საზოგადოებისაგან რავდენიმე სკოლის დაარსების შესახებ.

*** ბრძოლა ფილოქსერასთან. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის უკანასკნელმა სხდომამ, რომელზედაც განხილულ იქმნა კითხვა ბათომის ოლქში ახლად აღმოჩენილ ფილოქსერის მოსასპობად ზომების მიღების შესახებ, დაადგინა: მოიჭრას ყველა ფილოქსერიანი ვაზები ბახტაძის ვენახში და ოიწამლოს ნიადაგი ნავთით ან გოგირდის ნახშირბადით. ამასთან კომიტეტმა დაადგინა, გასინჯულ იქმნეს ბათომის ოლქში სხვა ვენახებიც და დროებით აღიკრძალოს ბათომიდან და მისი მიდამოებიდან ვაზებისა და ხეხილის გატანა.

*** სამხედრო ბეგარა. წელს მთელ რუსეთის იმპერიაში გაწვეულია სამხედრო ბეგარის მოსახდელად 737,821 ყმაწვილი, შარშანდელზე 4,629-ით მეტი.

*** სულით ავათმყოფ ბავშვის უპატრონობა. პოლიციის 1-ლ განყოფილებაში დახეტიალობს ერთი სულით ავათმყოფი ბიჭი, 8—9 წლისა. საბრალო ბავშვი საშინელი შესახედავია: ფერ-მკრთალი, სრულებით ქანც-მილეული, დაფლეთილი შედის ხოლმე იგი რომელსამე ეზოში და ჩუმად რამდენსამე საათს გაჩერებულია, სანამ ვინმე არ აჰმევს რასმე. საცოდავი ბაღანა, პოლიციელების სიტყვით, ვიღაც გლეხის შვილია. მამა მისი დიდხანს თურმე ცდილობდა დაებინავებინა თავისი შვილი სადმე საავადმყოფოში, მაგრამ რაკი მეცადინეობამ ამაოდ ჩაუარა, მიაგდო ბავშვი ბედის ანაბარად და თვითონ კი შინ წავიდა. ამ გვარად, უცნობ ქალაქში უპატრონოდ შთენილი ბავშვი დაძრწის დღე და ღამე ქუჩა-ქუჩა. მას არ გააჩნია არავითარი თავშესაფარი და ძალიან ხშირად ქუჩებზე ათევს ღამეს. მისი მდგომარეობა სწორედ აუტანელია.

*** მასპინძლისაგან გაქურდული. 31 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა გორის მოქალაქე ი. წვენიაშვილი და გაჩერდა თავის ნათესავ ალექსი კაშაძისას ანდრეევის ქუჩაზე (№ 46), სადაც მას კაშაძის ცოლმა თამარმა მოჰპარა ძილის დროს 150 მან., ვექსილები და საბუთის ქაღალდები 4,400 მანეთისა, სულ 4,500 მან. ბრალდებული და მისი ქმარი შეიპყრეს.

*** ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კრება ტფილისში. გაზეთ „სინ ოტ.“-ს აუწყებენ, რომ ამ წლის გასულს ტფილისში მოწვეულ იქნება კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კრება, რომელიც ყოველ მხრივ განიხილავს კავკასიაში ყაჩაღობის მოსასპობად საჭირო ზომებს.

*** მოსავალი კახეთში. მიუხედავად იმისა, რომ წელს ღვინის მოსავალს კახეთში ბლომად მოელიან, წლევანდელი ღვინო თავისი ღირსებით ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები იქნება. ეს იმით აიხსნება, რომ ყურძენი ერთსა და იმავე დროს არ დაყვავებულა, რის გამო მტევნებზე ზოგი მარცვალი მსხლად დასრულებულია, ზოგი კი უმწიფარი. ამასთანავე სიღნაღის მაზრაში შესამჩნევად გაძლიერებულია ბლეკროტი და ვაიტროტი. პურისა და სათიბის მოსავალმა ვერ გაამართლა მოლოდინი. ხილეულობა ნახევრობით გაფუჭებულია.

*** საქონლის (პირუტყვის) დაზღვევა. ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია საქონლის დაზღვევის პროექტი. საქონლის დაზღვევის უმთავრესი ზედამხედველი იქნება მიწად-მოქმედების სამინისტრო, ხოლო ადგილობრივ დამზღვევ დაწესებულებათ უნდა დააარსონ საგუბერნიო საგენტოები, იქონიონ საკუთარი ბეითლები და განყოფილებათა კომიტეტები. ეს პროექტი ფრიად საყურადღებოა ჩვენებურ მეჯოგეთათვის, რომელთაც საქონლის ჭირის გაძლიერების გამო აუარებელი საქონელი ეკარგებათ

*** **ს. ჩხარი** (იმერეთი). სამკითხველოს დაარსების განზრახვა. ჩვენს სოფელს დიდი ხანია ესაჭიროება წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მაგრამ დღემდე ვერ მოუხერხებიათ ამ საჭიროების დაკმაყოფილება. დღეს-კი, როგორც ნამდვილათ გავიგეთ, ჩხარის ადგილობრივ მეაფთიაქეს ბ-ნს მეთოდე ქათამაძეს განუზრახავს დააარსოს ჩხარში სამკითხველო, რომელსაც უთმობს ოთახს თავისს საკუთარს შენობაში. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ფრიად სიმპატიურ განზრახვის განხორციელებას არ დააყოვნებს ბ-ნი ქათამაძე, რისიც სრული თავდებია მისი გამჭრიახობა და უნარიანობა. დასასრულ სასურველია, რომ ბ. ქათამაძეს სხვაც მრავალი აღმოსჩენოდეს ხელის შემწყობი ამ კეთილ საქმეში.

*** **პეტროვსკი** (დაღისტანი). ქართველ მუშათა ამხანაგობები. ჩვენში ანდაზასავით არის დარჩომილი, რომ თათარი ლოცვის დროს პირველად ამას იტყვის ხოლმე: „ღმერთო, ნუ მისცემ ქართველ კაცს ერთ-პირობას და ერთობას, თორემ ქვეყანას ამოაგდებსო“. არც უნდა საეჭვო იყოს თათრის ასეთი ლოცვა-ვედრება. ჩვენს მამა-პაპათ, როცა-კი საერთო ძალ-ღონით შეუტევიათ მათთვის, ყოველთვის დაუმარცხებიათ მტერი და გამარჯვება მოუპოვებიათ, მაგრამ რაკი შური—ეს ერთად-ერთი ზნედამამცირებელი ხასიათი ქართველი კაცისა—სწყვეტდა მოძმეთა შორის ერთობას, გამარჯვება

ისევ თათრებსა რჩებოდათ ხოლმე.

აქ დარუბანდის რკინის გზაზე არ გვაკლია გრძნობით გაღვიძებულნი ქართველნი—სიამოვნება გვეფინებათ გულს მალამოთ, როდესაც ხედავთ ჯგუფ-ჯგუფათ მომავალს ქართველებს—მოდიან ქართველ მუშათა არტელები და საქმეს ეთხოვენ: რა საქმეც იყოს შევასრულებთ, ოღონდ ჩვენს ამხანაგებს ერთმანერთს ნუ დაგვაშორებთო, და მუშაობენ საუკეთესოდ. ყველა მადლიერია მათი და აფასებენ კიდეც მათს შრომას. მეტად შესანიშნავია და სანუგეშოც მათი ხასიათი, რომ ნამუშავარს ძმურად იყოფენ - თუნდა მათგანი რამდენიმე დღეს მოსცდეს კიდეც ავადმყოფობისა გამო. „რა უშავს ძმაო, დღეს თუ ნიკოა ავად, ღმერთმა[illegible]ი დაგვიფაროს და იქნება ხვალ მე ან შენ ხდები ავათაო, ამ უცხო მხარეს თუ ჩვენვე არ შევინახეთ და არ გავიტანეთ ერთმანერთი, რაღა კაცობა გვეთქმისო!

ვინმე ტეხნიკოსი

*** **ქ. თელავი. ჩხუბი და კაცების დაჭრა.** იმ თვის 27-ს თელავში მოხდა შემდეგი ამბავი: ბაზრის პირში, სომხების ეკკლესიის პირდაპირ, სადაც ორი სომეხი ვაჭარი ჰყიდის საზამთროს, რამდენიმე გლეხი მივიდა საზამთროს სასყიდლად, მაგრამ არ იყიდეს, რადგან არ მოეწონათ. მაშინ გამყიდველებმა დაუწყეს ლანძღვა გლეხებს და როდესაც იმათაც უპასუხეს, მაშინ პირველებმა დაუწყეს უკანასკნელთ კეტებით ცემა შეუბრალებლად. ამ ჩხუბის დასამშვიდებლად ჩაერია საქმეში ერთი გლეხი, რომელიც უნდა ყოფილიყო მუშა, რადგანაც ბასრი ნამგალი ჰქონდა ჩამოგდებული კისერზე. ერთმა მოჩხუბართაგანმა სომეხმა შ. სტაცა ხელი ნამგალს და ისე ღონივრად დასწია, რომ კისერი შეაჭრა, დაჭრილი დასუსტებული სისხლის დენით, დაეცა მიწაზე გულ-შეღონებული. ამ შემთხვევაში ერთი პოლიციელი არ გამოჩნდა, თუმცა ჩხუბმა მთელი საათი გასტანა. შემდეგ ჩხუბისა მოვიდნენ ოთხი პოლიციელი, მაგრამ ვერაფერი განკარგულება ვერა მოახდინეს-რა და პირ-დაღებულნი შეჰყურებდნენ ერთმანერთს. ბოლოს დ. შ—შვილის შემწეობით ეტლით გაისტუმრეს დაჭრილნი პოლიციაში და შემდეგ ექიმთან შესამოწმებლად. ნეტავ, რა გვეშველება ან უხეირო პოლიციელებისა, ან თავ-გასულ მოვაჭრეთაგან!

პუკიისშვილი

*** **დ. ოჩამჩირე** (აფხაზეთი). გამოთხოვება კეთილ მოძღვართან. 30 აგვისტოს ოჩამჩირის საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ბლ. მ. იოანე კერესელიძეს, რომელიც სოხუმის ეპარქიიდან ქუთაისში გადავიდა. ოჩამჩირის საზოგადოებამ, ნიშნად 16 წლის (თითქმის ოჩამჩირის არსებობიდან) მოღვაწეობისა ოჩამჩირეში, მიართვა მაცხოვრის ხატი წარწერით: „ჯვარს ეცვა სიმართლე და აღსდგა მკვდრეთით.—დაუვიწყარ მამა იოანე კერესელიძეს ოჩამჩირელ საზოგადოებისაგან ნიშნად ულრმესი პატივისცემისა მისი 16 წლის მამობრივი მფარველობისა ოჩამჩირის საზოგადოებაში". გამოსათხოვარ სადილს დაესწრო როგორც ვაჭრები და მცხოვრებნი, ისე ინტელიგენცია. სადილზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიის სტუდენტმა მღვ. მ. ბეს. ხელაიამ, სპირიდონ ნარაკიძემ, მეტია გუნია-თურქიასამ და სხვებმა..

სადილის შემდეგ მამა იოანე და მისი ოჯახობა დამსწრე საზოგადოებამ სახლამდე მიაცილა „მრავალ ჟამიერის" სიმღერით. გზაზე ერთმა ახალგაზდამ მშვენიერი სიტყვა უთხრა.

მეორე დღეს, 31 აგვისტოს, მთელი საზოგადოება გამოეთხოვა, ზოგიც ხომალდში შეჰყვა და გაისტუმრეს მამა იოანე და მისი ოჯახობა ქუთაისისკენ.

მამა იოანე 28 წელიწადია აფხაზეთის ეპარქიაში მსახურობს და დიდი სამსახურიც მიუძღვის; ის იყო დიდხანს მისიონერად აფხაზეთის მივარდნილ კუთხეებში, სადაც თავისი მთავრობის ყურადღება და ჯილდოც დაიმსახურა. საზოგადოება დიდს პატივს სცემდა და აფასებდა მამა იოანეს კეთილ გულს და ძვირფასს მის ოჯახობას.

მის ადგილზე დანიშნეს მღვდელი დიმიტრი მარღანია. ვუსურვებთ მასაც დაემსახურებინოს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა.

კონდ. კვასალია

*** **ქ. გორი.** ნათქვამია: „რაც გინდ რომ ხეხო ქვიშითა, არ გათეთრდება ყორანი"-ო. სწორედ ქალაქი გორი გახლავთ ამ მდგომარეობაში, განსაკუთრებით კი დახურულ ბაზარში მოვაჭრეთაგანნი. მათ ერთი ერთმანეთის მიხედულობით, კვირა დღეს და უქმს ვერ ნახავთ, რომ დუქნების კარები დაკეტილი ჰქონდეთ. ამათთვის არც წირვაა და არც ლოცვა; ვაჭრობა ღამითაც-კი ესიზმრებათ და ვაჭრობენ თავიანთ ნებაზე. 1897 წ. დანიშნა ქალაქის მოურავმა სამი ვაჭართაგანი ბაზრის უფროსის დახმარებით იმ აზრით, რომ კვირა-უქმე-დღეებში არ ევაჭრნათ, თორემ ოქმი უნდა შეედგინათ და გარდაეცათ პასუხის საგებად მოსამართლესთან; რამდენიმე პირს ჯარიმაც გარდახდა, ხოლო საუბედუროდ დიდ ხანს არ გასტანა მათმა შრომამ და ვაჭრებმა დაიწყეს ისევ ვაჭრობა.

მოვაჭრეებს გარდა, ცუდი არ იქნებოდა, რომ სამიკიტნოებსაც აღეკრძალებოდეთ ვაჭრობა კვირა დღეს, ვიდრე წირვა გამოვიდოდეს, რადგან სამიკიტნოებში უფრო ადრე აყენებენ წირვა ლოცვისა. ბევრი ხელოსნის ცოლ-შვილი რჩება მშიერი სამიკიტნოს დაუკეტებლობით. ყოველ მხარეს და ქალაქებში დაბინავდა განათლება და ღვთის მოყვარეობა და გორს კი არა ეშველა-რა. საჭიროა ყოველივე ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მეთვალყურე ცხინვალელი

## საოჯახო ცნობა

ვირთაგვების გაწყვეტა. ვირთაგვების გასაწყვეტად აიღეთ გაუქრობელი კირი, გასცერით ცხრილში, გაურიეთ იმდენივე თხლად დანაყილი შაქარი და მოაყარეთ იმ ადგილებს, რომლებსაც ვირთაგვები და თაგვები ეტანებიან.

# წვრილი ამბავი

ანდრეს ამბავი. კანადიდან იწერებიან, რომ ჩრდილოეთიდან დაბრუნებმა მო სულ ინდიელებს უნახავთ ესკიმოსები, რომლებსაც უამბნიათ მათთვის, აქ მოვიდნენ ვიღაც უცნაური ადამიანები, რომლებიც დრუბლებიდან ჩამოუშვნენ ჰუდზონის ზღვის ყურის ნაპირებზეო. თუ ეს ამბავი მართალია, მაშინ ესკიმოსების ნაამბობი უთუოდ დაკარგულ ანდრეს შეეხება, მაგრამ თუ ეს თავგადადებული კაცი მართლა ცოცხალია, ჯერ კიდევ საკითხია, პოლუსისკენ მგზავრობის დროს იყო ჰუდზონის ზღვის ყურესთან, თუ იქიდან გამომგზავრების დროს.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ახალი სიმდიდრის წყარო. დღეს ამერიკის ყველა გაზეთები და მათი კვალობით ევროპის გაზეთებიც აალაპარაკა ახალ სიმდიდრის წყაროს აღმოჩენამ. ეს წყარო დაუშრეტელია, თვალგადაუწვდენელია, უჭირავს ქვეყნიერობის სამი მეოთხედი ნაწილი და ათასჯერ უფრო მდიდარია ოქროთი, ვიდრე დღემდე ცნობილი ოქროს მადნები კალიფორნიისა, ტრანსვაალისა, ალიასკისა, ციმბირისა და ყველა სხვა ქვეყნებისა ერთად; ეს წყარო გახლავთ ოკეანე. ჯერ კიდევ 1879 წ. ქიმიკოსი სუსტედტი ამტკიცებდა, ზღვის წყალი ოქროს შეიცავსო. მაგრამ ის მნიშვნელობას არ აძლევდა თვის აღმოჩენას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ, თუ ზღვის წყალში ოქრო ურევია, მისი რაოდენობა უსაზღვროდ მცირე იქნებაო. მაგრამ ამას წინად კოლუმბიაში სამთო ინსტიტუტის პროფესორმა, კროკერმა, განაგრძო სუსტედტის გამოკვლევა და მისი ცდა ისეთი საიმედო გამოდგა, რომ მან ააგო ქარხანა, რომელიც საგანგებოდ არის გაწყობილი წყლიდან ოქროს საწარმოვოდ და უკვე გაგზავნა ნიუ-იორკში 13 ნაჭერი ოქრო და ვერცხლი, რომელიც ოკეანეს წყლიდან შეუდგენია რაღაც საიდუმლო საშუალებით. მის ქარხანას, რომელშიაც ამ ჟამად ასი მანქანაა, როგორც ამბობენ, შეუძლია აწარმოვოს ყოველ დღე 1,500 ფრანკის წმინდა ოქრო. მეორე ამერიკელმა მეცნიერმა, ჯონ პეკმა, რომელმაც აგრეთვე ცდა მოახდინა წყნარი ოკეანის ნაპირებზე, აღმოაჩინა კიდევ უკეთესი საშუალება წყლიდან ოქროს საწარმოებლად. არც ერთს და არც მეორე მეცნიერს ჯერ არ განუცხადებიათ, თუ რამდენი ეხარჯებათ ოქროს საწარმოებლად, მაგრამ ისინი მტკიცეთ დარწმუნებულნი არიან, რომ მათ აღმოჩენას დიდებული მომავალი აქვს. კროკერი და ჯონ-პეკი ამტკიცებენ, რომ წყლიდან ყოველ წლივ შეიძლება ათი მილიონ ტონნ ოქროს წარმოება, მაშინ, როდესაც მთელ ხმელეთზე ყოველ წლივ მხოლოდ ორასიოდე ტონ ოქროს სთხრიან. ჟურნალ-გაზეთები გვარწმუნებენ, რომ მთელი დედამიწის სიმდიდრე არაფერს არ შეადგენს ოკეანეს საუნჯესთანაო.

### ყურმოკრული საუბარი

— შემეწიეთ, შემაძლებინეთ ფეხზე დადგომა.

— ვერ შეგეწევი, მეც მყავს ერთი ფეხ მოტეხილი ძმა, მაგრამ...

— მაგრამ თქვენ ხომ მას არ ეწევით!

— ჰო-და, ხომ ხედავ მე ღვიძლ ძმასაც არ ვეწევი და აბა უცხო კაცს საიდან შევეწიო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მე-65 ტირაჟი მეორე სესხის ბილეთების გაბათილებისა: ნომრები სერიისა:

18005, 287, 2969, 19125, 15003, 16150, 16982, 4196, 2317, 15299, 3711, 16525, 19578, 6215, 5137, 4215, 5689, 5164, 1583, 9662. 357, 4308, 17644, 7081, 1384, 13038, 14038, 17695, 3905, 6570, 17709, 18685, 6927, 13612, 12904, 12024, 165, 14166, 6504, 4154,

ეროვნული ბიბლიოთეკა

5456, 717, 4909, 3471, 2556,
14903, 3018, 5073, 19544, 5483,
13087, 19582, 6014, 41280,
12660, 10351, 10829, 14257,
2973, 12873, 5843, 10635,
61410, 8374, 15395, 7274, 15063.
742, 8357, 2545, 14815, 2445,
2342, 3515, 11045, 1573, 19348,
15547, 13231, 968, 1347, 18447,
3506, 9635, 12303, 13620,
19668, 9884, 4196, 5944, 1648,
641, 84177, 16410, 15773, 3680.
1189, 680, 2115, 19178. 8543,
17190, 11295, 1831, 15804,
17214, 4091, 8326, 7093,
7418, 9799, 16883, 4817, 16553,
7149, 9451, 11900, 15491, 713,
15712, 9923, 12779, 8694, 8691,
13198, 15109, 2164, 14324,
11681, 5026, 14558, 1279,
12724, 4365, 13004, 3206, 2722,
652, 15045, 7441, 12253, 11167,
7652, 13027, 8109, 3476, 13041,
2851, 15189, 5218, 19948,
17754, 2646, 17375, 1016, 765,
3904, 18280, 8649, 5561 3288,
12642, 19452, 402, 18737, 6594,
10447, 15913, 2223, 10423,
16409, 2784. 3626, 6574, 12525,
2069, 15165, 1023, 620, 17519,
12167, 3346, 5551, 3712, 18517,
7348, 4559, 2684, 5176, 8084,
8729, 3007, 8481, 2011, 15783,
17405, 4328, 19700, 6508, 18096,
3068, 12891 8204, 13302, 8716,
3353, 951, 974, 18461. 5284,
17072, 19720, 1382, 16031,
18111, 1647, 1547, 147, 9470.

2 სექტემბერი

**ტულონი.** ჯავშნიანი გემი „ბუვე“ კრიტის კუნძულისაკენ წავიდა ჯარის სამის რაზმით.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს მეორე კრება ნაშუადღევს დაიწყო და $5\frac{1}{2}$ საათამდე გასტანა. სამხედრო მინისტრის წინადადებით პრეზიდენტმა სამსახურიდან დაითხოვა დიუპატი-დე-კლამი, რომელიც ამით დასჯილ იქმნა იმისათვის, რომ პოლკოვნიკის ესტერგაზის საქმეში უკანონოდ იქცეოდა და ეს გამოაშკარავა მთავარმა შტაბმა. სარიენმა გამოუცხადა თავის ამხანაგებს, რომ კიდევ საჭიროა დრო მომცეთ, ვიდრე სრულიად გამოვიკვლევ იმ საქმეებს, რომელიც სამხედრო მინისტრმა გადმომცაო. შემდეგი კრება დანიშნულია შაბათს.

**ბერლინი.** „ჩრდილოეთ-გერმანიის გაზეთი“ იუწყება, ხმა დადის, რომ იმპერატორი ვენაში აპირობს წასვლასაო. იმპერატრიცას დასაფლავებაზე დასასწრებლად, რომელიც 5 სექტემბერს მოხდება.

**მადრიდი.** სენატი. ალმენისმა სასტიკად გაჰკიცხა გენერლები. პრიემომ, კამპამ და ბაიმ წინაალმდეგობა განაცხადეს. ვეილერმა მოსთხოვა ალმენის დაასახელეთ, ვისა ჰკიცხავთ, თორემ მუშტით გაქცემ პასუხსაო. განუწყვეტელი ხმაურობა ატყდა. პრეზიდენტმა ზარი გასტეხა.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც დროებით პეტერბურგიდან მიდის, გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგეობა მინისტრის ამხანაგს გრაფ ლომსდოროვს გადასცა.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ქალაქის გამგეობაში დამდეგ სექტემბრის 7-ხა ამა წლისა, ნაშუადღევის 1 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ახლად შეკეთებულის ქალაქის ორ-სართულიანის ქარვასლისა |მიოევისსეული|, რომელიც იმყოფება აბანოების კარებთან და რომელიც შესდგება ოთხი თვალი დუქნიდან და თორმეტი ოთახიდან თავის მოწყობილობით და ორის სარდაფით.

ვისაც ხსენებულ შენობის იჯარით აღება უნდა, შეუძლიან პირობები შეიტყოს გამგეობის სამმართველოში დილის 9-დან 2 საათამდე. (4 – 3)

## ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ.

ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи, (30—20)

ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

# ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“

В Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостоновленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

## Принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

# „КАЗБЕКЪ“

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . . 6 руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . . 7 руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—5)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плага за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—43)

Дозволно цензурою. Тифлисъ, 3 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი **გ. გუნია**